**გაზეთის ფასი:**

| | | |
|---|---|---|
| 12 თვით | 10 მ. | — კ. |
| 11 ,, | 9 ,, | 50 ,, |
| 10 ,, | 8 ,, | 75 ,, |
| 9 ,, | 8 ,, | — ,, |
| 8 ,, | 7 ,, | 25 ,, |
| 7 ,, | 6 ,, | 50 ,, |
| 6 ,, | 6 ,, | — ,, |
| 5 ,, | 5 ,, | 50 ,, |
| 4 ,, | 4 ,, | 75 ,, |
| 3 ,, | 3 ,, | 50 ,, |
| 2 ,, | 2 ,, | 75 ,, |
| 1 ,, | 1 ,, | 50 ,, |

# ივერია

№ 118 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 118

წლიურის ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა

1. ხელის მოწერის დროს—5 მ., და თიბათვის 1-ს—5 მ.

2. ხელის მოწერის დროს—4 მ., მარტის 1-ს—3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.

3. ხელის მოწერის დროს—3 მ., მარტის 1-ს—3 მ. თიბათვის 1 ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.



თ-ნი ნიკოლოოზ და სვიმონ დავითის ძენი, კნეინა მარიამ დავითის ასული, კნეინა მელანია გიორგის ასული და თავადი დავით ივანეს ძე ანდრონიკაშვილნი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველნი სამნი დაუვიწყარის ძვირფას საყვარელ ძმისა, მეორე საყვარელ ქმრისა და მესამე მამისა.

**თავად ივანე დავითის ძის ანდრონიკაშვილისას**

გარდაიცვალა 17 მაისს სოფ. გურჯაანში. დასაფლავება შაბათს 22 მაისს იმავე სოფელში. (1—181—1)

---

# ახალი წიგნი

**ს. ს. მელიქ-ადამოვი**

ნაფიცი ვექილი

## პრაქტიკული სახელმძღვანელო

სამოქალაქო სამართლის საქმეთა წარმოების ქაღალდების შესადგენად ამიერ-კავკასიაში,

## ПРАКТИЧЕСКОЕ РУКОВОДСТВО

**для составленія бумагъ по дѣламъ Гражданскаго Судопроизводства въ ЗАКАВКАЗСКОМЪ КРАѢ**

**ფასი 1 მან.**

ისყიდება ტფილისში: წიგნების ცენტრალურ სავაჭროში და ხიდიკელის და გუტენბერგის მაღაზიებში. ვინც ავტორისაგან დაიბარებს 10 ეგზემპლიარზედ მეტს 10 % დაეთმობათ და გასაგზავნ ფასსაც არ გადაიხდიან.

---

**გამოვიდა და ისყიდება დიდი სურათი**

# ჯგუფი ქართველთ მწერლებისა

(მესამე გამოცემა).

**ტარ. მომცელიძისა.**

ფასი თითო სურათისა 75 კაპ. ქალაქ გარეთ გაგზავნას ფას დადებითაც ვკისრულობთ, მხოლოდ არა ნაკლებ ხუთის ცალისას.

ადრესი: въ Тифлисъ, Эриванск. пл., д. Харазовой, Тарасію Момцеидзе. (წლ.).

---

გამოვიდა და ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში ახალი წიგნი

# ლალაში

დრამა-ლეგენდა თ-დ ალ. სუმბათაშვილისა,

ავტორის სურათით და წინასიტყვაობით,

თარგმანი გრ. ყიფშიძისა.

გამოცემა «ივერიის» ამხანაგობისა.

**ფასი ერთი მანეთი**

„ივერიის" ხელის მომწერთ, რომელთაც სრულად არა აქვთ წლიური ფასი შემოტანილი, წიგნი დაეთმობათ თვით რედაქციაში ათ შაურად.

ვინც ათს ცალსა და მეტს იყიდის ან დაიბარებს რედაქციისაგან, თითო ცალი ეთმობა 70 კაპ. ვინც ორმოცდა ათს იყიდის—60 კაპ. ფოსტის ხარჯი მყიდველმა უნდა იკისროს.

**ამ პიესის წარმოდგენა მთარგმნელის ნება-დაურთველად საცენზურო წესდების 1864 მუხლის ძალით აღკრძალულია.**

---

ზღვაზე, მდინარეებზე და ხმელეთზე ბარგის გადაზიდვისა და დამზღვევის ს.-პეტერბურგის კომპანიის

# „ნადეჟდა"-ს

ტფილისის სააგენტო ამით საყოველთაოთ აცხადებს, რომ სააგენტოს საქონლის მთავარი საწყობი, რომელიც აქამომდე იმყოფებოდა ზუბალოვის სახლებში, კათოლიკეთა ქუჩაზე, 1904 წლის

## 11 აპრილიდან გადატანილი იქნება

მანთაშოვის ახალ ქარვასლაში, სომხის ბაზარში.

შესასვლელი ეგზარხოსის მოედნიდან, სახელოსნო სასწავლებლის პირდაპირ.

საქონლის მიღება შეიძლება ყოველ დღე კვირა დღეების გარდა დილის 9 საათიდან ნაშუადღევის ორ საათამდის და საღამოს 5 საათიდან 7 საათამდე.

საწყობის ტელეფონი № 370. სააგენტოს ტელეფონი № 108. (5—6.—5)

---

# ქართული თეატრი

კვირას, 23 მაისს, 1904 წ.

**დაკლებულის ფასებით**

ქართულ დრამატ. დასის არტისტების მიერ წარმოდგენილი იქნება:

# და-ძმა

ისტორ. დრამა 5 მოქმედებად ვ. გუნიასი

მონაწილეობას მიიღებენ: ქ.ქ. დავითაშვილი, ალექსი-მესხიშვილი. ბ.ბ. სვიმონიძე, ივანიძე, შალიკაშვილი, საფაროვი, იმედაშვილი, სარჯველაძე, ბაქრაძე, გვარაძე, ბეგლარიძე, ჩიქოვანი და სხვა.

დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზედ.

**ადგილების ფასი დაკლებულია, მოწაფეთათვის 40 კაპ.**

რეჟისორი ს. სვიმონიძე

გამგე ბ. ბეგლარიძე.

---

ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ უმაღლეს მთავრობის ნება-რთვით ამიერიდგან მიიღება ხელის მოწერა შემოწირულებათა შესაკრებად აწ განსვენებულის დიდი მთავრინასი ოლღა თეოდორეს ასულის ძეგლის ასაგებად ტფილისში. (3 6.—2)

---

ახალი გამოცემა «წერა-კითხვის საზოგადოებისა»

**გულივერის მოგზაურობა**

სვიფტისა, მრავალის სურათით. 16 გვ. ფასი 30 კაპ.

**გამოვიდა და ისყიდება**

მთრეულდ აღმოსავლეთის დაბეჭდებული

# ქართული რუკა

ცალკე გამოცემა გაზეთ «ივერიისა». ფასი სამი შაური.

ისყიდება რედაქციაში და ყველა ქართულს წიგნის მაღაზიაში.

---

გამოვიდა და ისყიდება ყველგან „ქართველთ შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მიერ ახლად გამოცემული წიგნები:

# ქაჯანა

2.

# ალი

მოთხრობა მასივე, ფასი 10 კაპ.

წიგნების გამოწერა შეიძლება ფას-ადებითაც შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Общество распростр. грамотности.

---

გამოვიდა და ისყიდება

# კატალოგი

წარმოსადგენად ნება-დართულ ქართულ პიესებისა.

**ფასი 15 კაპ.**

ვისაც სურს ყიდვა, მიჰმართონ ქართულ დრამატიულ საზოგადოების კანტორაში ბ-ნ დავ. ნახუცრიშვილს (3—3)

---

# იძლევა ქირით

1 მაისიდგან ამა წლისა სათავად-აზნაურო სახლებში, სასახლის ქუჩაზედ მაღაზიები №№ 21 და 97, რომლებიც ამ ჟამად უჭირავთ მინასოვებს. ყოველ ცნობების გაგება შეიძლება იმავე შენობაში მამულების საქმეების მმართველ კანტორაში. (10—6—10)

---

# კერძო სამკურნალო

**ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა**

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (Набережная) სახლი აბრამოვისა № 9, მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

**ტელეფონი № 274.**

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

**დილით:**

**ა. ნ. დიასამიძე.** 11—12 საათ.

**ა. ტ. მუღინი**—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 9—10 ს.

**ა. ი. ღალარჯიშვილი.** ბავშვებისა, 9—10 ს.

**ლ. მ. მონინი.** ქალის., საბებ. და ბავშვ. (შემოწმება ძიძისა) ოთხშ., პარასკ. და კვირა 11—12 ს.

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ექიმი ქალი **მ. ქ. იოხელიანი**—ქალისა და საბებიო 12—I ს. სამშ. ხუთშ. შაბათ.

**გრ. ვ. სოგოლევსკი**—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

**პ. ა. ბეიერი.** შინაგანი და ბავშვებისა. 1—2 საათ. ყოველ დღე.

სამკურნალოში ჰხდება ქიმიურ-მიკროსკოპიული ბაკტერიო-სკოპიული გამოკვლევანი.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით.

46—8 ტელეფონი № 274 (წ.)

---

**ქართველნი მკურნალნი:**

**გედევანიშვილი მიხეილ,**—ყორღანთკის ქუჩა, № 16, საკუთარი სახლი. საღამოს 6—7 საათამდე.

---

**გძელიშვილი კონსტანტინე** ელის ბედის ქუჩა. სახლი მიქოგოსა. № 5

---

**გაბაშვილი გრიგოლ,**—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

---

**ვაჩაძე სპირიდონ.** პეტერბურგის ქუჩა საკუთარი სახლი.

**მარიამ ნიკოლოოზის ასული ზაალიშვილისა,** ელისაბედის ქუჩა, № 41.

---

**დიასამიძე ალექსანდრე,**—მიხეილის პროსპექტი, სახლი დოლუხანოვისა, № 123.

---

# პირველი კერძო სამკურნალო

**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**უ. მ. ჩიქოვანი.** 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

**მ. გ. ავეტისიანცი** 11—12 საათამდე —კანისა, და ვენერიულ ხირურგიულ ავადმყოფობისა.

**ი. ბაბანასოვი.** დილის 10—12 საათ. ქალისა და ბავშვთ ავადმყოფობანი.

**კ. ი. გძელიშვილი.** 12—1 საათ. ყელისაა ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

**გ. ა. თარხანოვი.** $1—1^1/_2$ საათ. შინაგანის და ბავშვებისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** $1—1^1/_2$ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**გ. სოლოლაშვილი.** 9—11 საათამდე კბილების ავადმყოფობანი.

**საღამოობით:**

**ნ. ნ. როსტომბეგოვი.** 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია

**გ. ს.ე ლვი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. ზჩერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

**გ. ა. თარხანოვი.** $7^1/_2$—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

**ს. ტ. არვანიტაკი.** 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟს, აუცრის ყოველს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი **ქ. გძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана.* Тифлисъ противъ памятн. Воронцова. (წლ.)


---

# ომის ამბები

**დეპეშები და წერილები.**

ძინ-ჯოუს ბრძოლა.—ყუმბარების ჯაჭვი.—წვრილი ცნობები.

ძინ-ჯოუს იერიშით აღების შესახებ სამხედრო მიმომხილველი გაზეთ «რუსკ. ვედ.»-ისა სწერს:

იაპონელთა ლაშქარი ჩვენს ჯარს ოთხს დღეს ებრძოდა და ბოლოს იერიშით აიღო ძინ-ჯოუ და მთელი კვანდუნის ყელი სადგურ ნან-შანილინამდე (45 ვერსია პორტ-არტურიდგან). ამ რიგად იაპონელებმა ალყა შემოარტყეს თვით პორტ-არტურს.

როგორც იმ მცირე ცნობებიდგანა სჩანს, რომლებიც აქამომდე მოვიდა სხვა და სხვა მხრიდგან და უფრო იაპონელების მეოხებით, ეს ბრძოლა ამ რიგად უნდა ყოფილიყო.

ძინ-ჯოუსთან მიუდგომელი ციხე-სიმაგრე მხოლოდ სამსონის მთა არის, რომელიც დაჰყურებს და იცავს ჩრდილოეთით კვანდუნის ყურეს და აღმოსავლეთით—რკინის გზასა და ქალაქ ძინ-ჯოუს. ამ ადგილს 1894 წელს ჩინელებს ორი ბატარეია ჰქონდათ კრუპპის ზარბაზნებით და იაპონელებმა მაშინაც ვერ შეჰბედეს იერიშის მიტანა, ხოლო უკანა მხრიდგან მოუარეს და ისე აიღეს, თუმცა იქაც რავდენიმე ისეთი მაღლობია (250—800 ფუტი), საიდგანაც არტილერიას შეუძლიან თითქმის ირგვლივ დაიცას მიდამო. კვანდუნის ნახევარ-კუნძული ისე ვიწროა, რომ ათის ვერსის მანძილზე ორთავ მხარეს შესაძლოა გემები მიუახლოვდნენ და ყუმბარები დაუშინონ. ამ ადგილს ტალიენვანისა და დალნის მხრივ ყურე ნაღმით იყო მოკირწყლული იანვარშივე. სწორედ ამ დროს დაიღუპა «ენისეი», რომელმაც 400 ყუმბარა ჩაუშვა თურმე.

რა ძალა ჰქონდათ რუსებს და რავდენი ჯარი ჰყავდათ ძინ-ჯოუს სიმაგრეზე—ნამდვილი არა ვიცით რა. იაპონელების ცნობებით, აქ უნდა ყოფილიყო მეშვიდე მსროლელთა დივიზია, მეოთხე დივიზიის მომეტებული ნაწილი, სულ 7 პოლკი (21,000 კაცი) 30 ციხის ზარბაზნით. ამას გარდა ძინ-ჯოუს იქითაც რავდენიმე ადგილი გენერალ ფოკას გაუმაგრებია და ამისათვის პორტ-არტურის დაზიანებულ გემებიდგან ზარბაზნები გადმოუტანია. ძინ-ჯოუსა და სხვა სიმაგრეებს შუა რავდენიმე თხრილია ამოღებული, ზემოდგან მსუბუქად გადაფარებული და შიგ ყუმბარებით შეიარაღებული. ამ თხრილებს გარშემო ეკლიანი მავთული ჰქონია გალავანსავით შემორტყმული. ძინ-ჯოუსთან კიდევ რაღაც ციხე ყოფილა, რკინის გზის სადგურთან.

იაპონელები ალყის შემორტყმას არ დასჯერდნენ, რომ ციხის მცველი ჯარი იძულებული გამხდარიყო დამორჩილებოდა მტერს, როდესაც ყუმბარები და სურსათი გამოელეოდათ. მაშინ ორთავ მხარეს, რასაკვირველია, ნაკლები მსხვერპლი დასჭირდებოდა. მაგრამ ხანი გავიდოდა, დრო ამაოდ დაიკარგებოდა. ამიტომ იაპონელებმა არჩიეს იერიშით აეღოთ ციხე და თავი არ დაიზოგეს. გენერალ ოკუმ იკისრა ეს საქმე და დაამთავრა კიდეც.

კონეჩნის კონცხზე იაპონელებმა გადა-

იტანეს დიდი ზარბაზნები და რკინის გზის მოწყობილობა 45 ვერსისა. მცირე ხანს რკინის გზის ლიანდაგი გამართეს, გლუბოკისა და კერრის ყურეების გასწვრივ, და ზარბაზნებიც ძინ-ჯოუმდე მიიტანეს. ამავე დროს ლიაოდუნის ყურეშიც გადადიოდა ჯარი და 12 მაისს ხომ თვით ძინ-ჯოუს ყურეშიც გაჩნდა სამხედრო გემები.

იერიშის დროს გენერალ ოქუს სამი დივიზია უნდა ჰყოლოდა. აქედგან გზა და გზა მცირე რაზმები უნდა დაეტოვებინა, სულ 13 მაისს ძინ-ჯოუსთან იქნებოდა 32,400 ქვეითის ჯარისა და 8 ბატარეია 108 მსწრაფლ-მსროლელ ზარბაზნით. მაშასადამე, იაპონელები ერთ-ნახევრად მეტნი ყოფილან რუსებზე.

იერიში დაიწყეს იაპონელებმა 10 მაისს. ამავე დროს იაპონელების ფლოტმა ყუმბარები დაუშინა პორტ-არტურს. რომ ციხის ჯარი იქ შეჩერებულიყო და ძინ-ჯოუს არ მიშველებოდა (პორტ-არტურიდგან ძინ-ჯოუს სიმაგრეებამდე 45 ვერსია). 12 მაისს საღამოს იაპონელების ორი რაზმი გაემართა ქვანდუნის ნახევარკუნძულისაკენ, რომ ძინ-ჯოუ გადაეჭრა, ერთი ჩრდილოეთიდგან, სადგურ სანშილიპუზე, და მეორე აღმოსავლეთიდგან, კერრის ყურედგან მომავალი. ამავე ადგილს მიიტანეს კერრის ყურედგან დიდი ზარბაზნები, რომლებმაც 6-7 ვერსის სიშორიდგან ნან-გუან-ლიანს დაუშინეს ყუმბარები, სამსონის მთისა და ძინ-ჯოუს იქით. 13 მაისს იაპონელები ყველა მხრიდგან მიეხვივნენ ძინ-ჯოუს სიმაგრეს და სცდილობდნენ რუსის ჯარისთვის გზა გადაეჭრათ. ამის გამო გენერალი ფოკა იძულებული იყო გაჩქარებით წასულიყო პორტ არტურისკენ.

—

ძინ-ჯოუს ომი უსაშინლეს ბრძოლათაგანია ახალ სამხედრო ისტორიაში. რუსებს საჰაგალითოდ ჰქონდათ გამაგრებული ძინ-ჯოუს მაღლობი. ათ ადგილს, თხრილითა და ეკლიანის მავთულით გარშემორტყმულს, დიდი ზარბაზნები იდგა. იაპონელებმა ბრძოლა დაიწყეს ხუთშაბათს დილით. ჯერ სცდილობდნენ რუსების სიმაგრე არტილერიით შეერყიათ, მაგრამ ვერ მოახერხეს. მაშინ იერიში მიიტანეს წინიდგან. მაღლობიდგან ტყვია-ყუმბარა სეტყვასავით დააყარეს და ბევრი შემუსრეს. იაპონელების რაზმები სწრაფად დნებოდა, მაგრამ ახალ-ახალი რაზმი დახოცილებს აბიჯებდა და წინ მიდიოდა. საღამოს 7 საათზე იაპონელები მაღლობზე ავიდნენ და რუსის ჯარი მწყობრად წავიდა ნან-ჩუან ლინისკენ, ხოლო მალე ეს ადგილიც მიატოვა, რადგან აქეთ-იქიდგან მტერი მრავლად აწვებოდა (პ. ვ.).

—

პარიჟიდგან იწერებიან, ვითომც რუსის ჯარი. კელლერის უფროსობით, გაჩქარებით მიდის პორტ-არტურის დასახსნელად (რ. ვ.).

პორტ-არტურსა და ლიაოიანს შორის უმავთულო ტელეგრაფი მოქმედობს, ხოლო ხანდისხან იაპონელები იჭერენ და დამახინჯებულს ჰგზავნიან დანიშნულებისამებრ (იქვე).

—

ტოკიოდგან ლონდონის გაზეთებს ატყობინებენ, იაპონელთა ჯარი პორტ-არტურს მიუახლოვდა და 12 ვერსის მანძილზე გროვდებაო.

რკინის გზის სადგური ნან-გუან-ლინი რუსებმა ააფეთქეს.

რავდენიმე იაპონელი შეიპყრეს და პორტ-არტურს მიიყვანეს. ტყვეებმა სთქვეს, ნაბრძანებია, პორტ-არტური იერიშით აიღონ იაპონელებმა, როგორც უნდა დაუჯდეთო (ნ. ვ.)

—

ჯავშნიან გემის „პეტროპავლოვსკის» პირველ ხარისხის კაპიტნად ნამყოფმა იაკოვლევმა განაცხადა, რომ იაპონელებს წყალში მავალი ნავები არა აქვთ და «პეტროპავლოვსკის» დაღუპვა იმათ არ მიეწერებაო. გემი უეჭველია წააწყდა რავდენსამე ერთი-ერთმანეთზედ მავთულით გადაბმულ ყუმბარებს. ერთი ამისთანა ყუმბარა კაპიტანმა აზარიევმა ამოიღო ზღვიდგანაო (პ. ვ).

—

იაპონიიდგან იტყობინებიან, ვითომც ჩემულპოში დაღუპული გემი «ვარიაგი» იაპონელებმა ამოიღესო. ჯერ 7 დიდი ზარბაზანი მოხსნეს და 12 პატარა, მაგრამ გემის ამოღება მაინც გაგრძელდა, რადგან მანქანების სისტემა და მოყვანილობა არ იცოდნენ. ამ გემის ამგებ ფირმას სთხოვეს ფილადელფიაში გეგმა გამოეგზავნა, მაგრამ ფირმამ 6,000 დოლარი მოითხოვა. შემდეგ სრულიად შემთხვევით თვით გემზე იპოვეს გეგმა, წყალზევით ამოშვერილ ნაწილში, და მაშინ კი მოხერხდა გემის ამოღება. ეხლა ჩემულპოს დოკზე შეაკეთებენ და იაპონიის ფლოტს შეუერთებენო (რ. ვ.).

—

რამ შეაფერხა გენერალ კუროკის ჯარი? სამხედრო მიმოხილველი გაზეთ «ნ. ფ. პრესი» სწერს. დაბეჯითებით არ ითქმის, რამ შეაფერხა გენერალ კუროკის ჯარი, ხოლო ზოგი მიზეზი-კი ცხადიაო. ჯერ ერთი ყაზახები ძალიან აწუხებენ მოწინავე რაზმებს; მეორე, გზები მეტად გაფუჭებულია და ზოგს ადგილს ჭაობად გადაქცეულია; მესამე—იაპონელი და ჩინელი ბარგის მზიდველნი ვერ ასდიან სამხედრო მასალა-იარაღისა და სურსათის ზიდვას, და მეოთხე, წინ რომ წავიდეს ჯარი, უკანაც გამაგრებული ადგილი უნდა ჰქონდეს დატოვებული.

სამხედრო მიმომხილველი დიდის ქებით იხსენიებს გენერალ კუროკის აუჩქარებლობას და ჯარის მწყობრად მსვლელობას. ჯარი ისე მიდის, თითქო ფარდა აქვს ჩამოფარებული, რომ მტერმა არ შეამჩნიოს. მოწინავე რაზმებში სამგვარის იარაღის ჯარია: ქვეითი, არტილერია, კავალერია. ამის გამო ამ რაზმებს შიში არა აქვს, რადგან მტერი რომ შემოესაროს, თავის ძალღონით მოიგერებს. ამ რიგად მოწინავე რაზმები ხელს უწყობენ უმთავრეს ჯარს უშიშრად და მწყობრად გაიკვლიოს გზა, საითაც უნდა. ეს ფარდა, რომელიც სამხედრო გამოცდილებით აუცილებლად საჭიროა, ისე კარგა მოუმართავთ იაპონელებს, რომ მოწინააღმდეგემ არც კი იცის მტრის ძალა და განზრახვას ხომ სრულიად ვერ მიუხვდება (ნოვოსტი).

## იაპონიის ჯარის სარდლები.

გერმანელთა სამხედრო ჟურნალ-გაზეთებში მოყვანილია საყურადღებო ცნობები იაპონიის ჯარის შესახებ.

იაპონიის ხმელეთის ჯარი შესდგება 13 დივიზიისაგან, რომელთა შორის ერთი გვარდიისაა. ყოველ დივიზიას, ქვეითის ჯარის გარდა, ჰყავს თავისი მხედრობა, არტილერია, საპიორები, საინტენდანტო და საექიმო რაზმები.

საომრად გაწყობილ იაპონიის ჯარში 340,000 კაცია, რომელნიც შესაძლოა ომის ველზე გაიგზავნოს. ამ რიცხვში არ არის შესული სათადარიგო ჯარი, რომელიც სამშობლოს დასაცველად უნდა იყოს დატოვებული. არ არის აგრეთვე მითვლილი კუნძულ ფორმოზის ჯარი, რომელშიაც 12 ბატალიონია, 3 ესკადრონი, 5 ბატარეა და 3 საინჟინერო როტა, სულ 7000 კაცი, მშვიდობიანობის დროს, 54 ზარბაზნით.

უმაღლეს ბრძანებლად იაპონიის ჯარისა და ფლოტისა არის თვით მიკადო, იმპერატორი.

მთავარ-შტაბის უფროსად ფელდ-მარშალი მარკიზი თიამა.

მის ამხანაგად—გენერალ-მაიორი კოძადა.

დივიზიების უფროსებად არიან:

გვარდიის დივიზიისა და გვარდიის 1 და 2 ბრიგადებისა—გენერალ-ლეიტენანტი ბარონი ხასეგავა.

1 დივიზიისა, 1 და 2 ბრიგადებისა—გენერალ-ლეიტენანტი პრინცი ფუშიმი.

2 დივიზიისა, 3 და 15 ბრიგადებისა—გენერალ ლეიტენანტი ბარონ ნიში.

3 დივიზიისა, 5 და 17 ბრიგადებისა—გენერალ-ლეიტენანტი ბარონ ოსიმა I.

4 დივიზიას 7 და 19 ბრიგადების—გენერალ-ლეიტენანტი ბარონ ოიამა.

5 დივიზიისა, 9 და 21 ბრიგადებისა—გენერალ ლეიტენანტი ბარონ იამაგუჩი.

6 დივიზიის, 11 და 24 ბრიგადებისა—გენერალ-ლეიტენანტი ოკუბო.

7 დივიზიისა, 13 და 14 ბრიგადებისა—გენერალ-ლეიტენანტი ბარონ ოსაკი.

8 დივიზნისა, 4 და 14 ბრაგადებისა—გენერალ-ლეიტენადტი ბარონ ტაჩიმი.

9 დივიზიისა, 6 და 18 ბრიგადებისა—ბარონ ოსიმა II

10 დივიზიისა, 8 და 20 ბრიგადებისა—გენერალ-ლეიტენანტი ბარონ კავამურა.

11 დივიზიისა, 10 და 22 ბრიგადებისა—გენერალ-ლეიტენანტი ბარონ ფუძია.

12 დივიზიისა, 12 და 23 ბრიგადებისა—გენერალ-ლეიტენანტი ბარონ ინუე.

საომრად გაწყობილ იაპონიის ჯარი 5 ლაშქრად გაიყოფება. (გირინისა, ვლადივოსტოკისა, ჩრდილო-კორეისა, ლიაოდუნისა და ნიუ-ჯუანისა). ამ ლაშქრების მთავარ სარდლად, ომი რომ დაიწყო, ფელდ-მარშალი გრაფი ნოძუ დაინიშნა.

პირველ ლაშქრის სარდლად გენერალ-ლეიტენანტი კუროკია. მას ემორჩილება გვარდიის დივიზია (გენერალ ხასეგავას უფროსობით), მეორე ქვეითის ჯარის დივიზია (გენერალ ნიშის უფროსობით) და მეთორმეტე დივიზია (გენერალ-ლეიტენანტის ინუეს უფროსობით).

მეორე ლაშქრის უფროსი გენერალ-ლეიტენანტი ოქუ არის. მას ემორჩილება პირველი დივიზია (გენერალ ფუშიმასი), მეშვიდე დივიზია (გენერალ ოსაკოსი) და მესამე დივიზია (გენერალ ოშიმასი)

მესამე ლაშქრის უფროსად ფელდ-მარშალი ნოძუა. მას ემორჩილება მერვე დივიზია (გენერალ ტაშიმისა), მეცხრე დივიზია (გენერალ ოშიმასი), მეთერთმეტე დივიზია (გენერალ ფუძისა) და მეოთხე დივიზია (გენერალ ოიამასი).

სად არიან ამ ჟამად მეხუთე, მეექვსე და მეათე დივიზიები ჯერ არა სჩანს. არ ვიცით აგრეთვე, რითი და როგორ უნდა შესდგეს მეოთხე და მეხუთე.

აქამომდე პირველსა და მეორე ლაშქარს თავისი უფროსები წინამძღოლდნენ და მთავარ-სარდლის ნოძუს მოქმედება სრულიად არა სჩანდა. ეხლაც, როდესაც მესამე ლაშქრის ნაწილი ლიაოდუნის კუნძულზეა, მთავარ-სარდალი მაინც არა სჩანს. ეტყობა, ლაშქრის უფროსები მათდამი მინდობილ საქმეს ადგანან და, როდესაც სამთავე ლაშქარი გაერთდება, ფელდ-მარშალი ნოძუ მხოლოდ მაშინ მიიღებს მთავარ-სარდლობას. იქნება პორტ-არტურის აღებაც იმან იკისროს, როდესაც მესამე ლაშქარი თავს მოიყრის ქვანდუნის ნახევარ კუნძულზედ.

## ტ ფ ი ლ ი ს ი

*** კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებამ საზღვარ-გარეთიდან გამოიწერა ვენახების საწამლებლად შაბიამანი და გოგირდი... წინად რაც მიიღო საზღვარ-გარეთიდან, რამდენსამე დღეს საზოგადოებამ ერთიან გაასაღა სოფლის მემამულეთა შორის... ბევრი კი იძულებული იყო უკან ხელ ცარიელი გაბრუნებულიყო, რადგან საზოგადოებას, საჭიროებასთან შედარებით, ნაკლები გამოეწერა. აი ამ გარემოებამ აიძულა საზოგადოება, რომ ხელმეორედ გამოეწერა გოგირდი და შაბიამანი. გამოწერილი წამლები საზღვარ-გარეთიდან ბათუმს ამ ათის თუ თერთმეტის დღის წინად მოსულა, საიდანაც მაშინვე ტფილისში გამოუგზავნიათ, მაგრამ საზოგადოებას დღესაც არ მიუღია. ამ ჟამად ყოველ დღე აუარებელი ხალხი აწყდება საზოგადოებას და წამლებს სთხოვს, მაგრამ ყველა ცალიერი ბრუნდება. წამლების დაგვიანებამ ერთობ გაახარა ტფილისელი ვაჭრები, რომელნიც მამასისხლად ჰყიდიან მევენახეებზე ამ წამლებს, ისიც კი არავინ იცის, კარგი ჯოვისებისაა თუ არა. სამეურნეო საზოგადოებამ ამიერ-კავკასიის რკინის გზას მისწერა, დააჩქარე ტფილისში ჩამოტანა გამოწერილ წამლებისა და ამას გარდა ღონის-ძიებანი მიიღეთ, რომ შემდეგშიაც არ გამეორდეს ასეთი შემთხვევანიო.

*** კვირას, 30 მაისს. საღამოს 7 საათზე ქუთაისის საურთიერთო ნდობის საზოგადოების სადგომში დანიშნულია საზოგადო კრება ქუთაისის სამეურნეო საზოგადოების «კოლხიდა»-ს წევრთა. კრებამ, სხვათა შორის, უნდა განიხილოს საზოგადოების მოქმედების ანგარიში წარსულის წლის განმავლობაში და აირჩიოს გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრნი.

*** 3 მაისს, თელავის მაზრის ზოგიერთი სოფლები მეტად დაუზარალებია სეტყვას. სოფელ ჯანაანსა და ხოდაშენში თურმე ისეთი დიდი სეტყვა იყო, რომ წელს არავითარ მოსავალს არ მოელიან. უფრო ნაკლებად დაზარალებულნი არიან სოფ. აკურა, ოყიო და სხვა სოფლები ჯანაანის მცხოვრებს თავ. ს. ვ. აბელაშვილს 4.000 მანეთის ზარალი მოსვლია. წახდენია ვაზი.

*** თავ. ალ. სუმბათაშვილის პიესა „ღალატი“ უკვე გადათარგმნილ იქმნა სომხურად და გამოვიდა ცალკე წიგნად. წიგნი ჰღირს 50 კაპ. პიესა უთარგმნია ბ-ნ ტერ-გრიგორიანს.

*** გეოლოგიური კომიტეტი ამ ზაფხულს რამდენსამე კაცს ჰგზავნის კავკასიაში სხვა-და-სხვა ადგილებში ნავთიან ადგილების გამოსაკვლევად.

*** დღეს, 21 მაისს, ვეტცელის თეატრში სცენის მოყვარულთა მიერ გამართულ იქმნება წარმოდგენა, რომლის მთელი შემოსავალი გადიდება დაჭრილ რუს მეომართა და დაობლებულ ოჯახებისთვის შემწეობის აღმოსაჩენად.

18 მაისს ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის რწმუნებულთა კრება დაიწყო. ამ დღეს განხილულ იქმნა ბანკის 1903 წ. ანგარიში. ანგარიშის განხილვამ დიდ ხნობამდე გასტანა, ამიტომ კრება მეორე

## ფ ე ლ ე ტ ო ნ ი

### ჩინური ენა და მწერლობა.

მიყრუებულმა ჩინეთმა ჩვენს დროში დიდი ყურადღება მიიპყრო. ეკონომიურ დაინტერესებას კულტურულიც მოჰყვა და მრავალმა ევროპიელმა ჩინეთის ისტორია და ცხოვრება თავის კვლევა-ძიების საგნათ გაიხადა. მაგრამ მაინც დღევანდლამდე ჩინეთი ჯერ კიდევ ნაკლებათაა შესწავლილი და მისის კულტურის ცალმხრივი განვითარება ხომ პირდაპირი მიზეზი შეიქმნა იმ არეულ შეხედულებისა, რომლისაც ევროპიელნი ჩინეთის შესახებ არიან: ერთი მოგზაური რომ ამ სახელმწიფოს დიდათ აქებს და მის კულტურაზე ევროპიელებსაც კი უთითებს, მეორე მთლათ სთხრის და მის ცხოვრებას ძირიანათ შეცვლას და აღმოუხვრას ემუქრება. კაცმა არ იცის, რომელია მართალი და ვის დაუჯერო.

ეს ორგვარი შეხედულება მის ენის, და მწერლობის შესახებაც არსებობს. ზოგის აზრით, ჩინეთში ერთი ენაა, მთელი 400 მილიონზე მეტი მცხოვრებნი ერთს ენაზე სწერენ და კითხულობენ, სხვები კი თვითეულს პროვინციაში და თითქმის მაზრაშიაც კი საკუთარს, სულ სხვა ენას ჰპოვებენ; ერთი რომ ამ ენას მაღალს განვითარებას აწერს და ინგლისურს უდარებს, როგორც მაგალ. მცოდნე პროფესორი პ. შმიდტი *), მეორეების რწმენით, ჩინური ენა განუვითარებელია და პირველ-ყოფილ ადამიანისას რავდენათმე მოგვაგონებს. ერთის შეხედულებით კი ორივე მართლები გამოდიან.

ჩინეთშიაც, როგორც ზოგან სხვაგანაც, ორი უმთავრესი ენა არსებობს—სალიტერატურო და სალაპარაკო. სალალაპარაკო ენა კიდევ რავდენსამე სხვა კილოკავებათ დაიყოფება. «არ არის მთელს დედამიწის ზურგზე არც ერთი ენა, ამბობს პროფ. ვასილიევი, რომლის სალიტერატურო ენა ერთის მხრივ ისრე განსხვავდებოდეს სალაპარაკოსგან, როგორც ჩინური, და მეორეთი სალაპარაკო ენა ისრე დიდად იყოს დაყოფილი ადგილობრივ გამოთქმით, როგორც ჩინეთში». სალიტერატურო ენას მანდარინული ეწოდება, რადგანაც მით დიდი მოხელეები და განათლებული კლასი ლაპარაკობს. იგივე იხმარება დედა-ქალაქ პეკინში და რავდენადმე მთელ ჩრდილოეთ ჩინეთშიც. თვით ხალხის ენა კი დიდათ განსხვავდება ერთი მეორისაგან; ჩრდილოელი ჩინელი მაგალ. სამხრეთელის ლაპარაკს თავს და ბოლოს ვერ გაუგებს.

ეკონომიურათ ნაკლები გაერთიანება იმოდენა ქვეყნისა, როგორც ჩინეთია, რასაკვირველია, შექმნილა იმის მიზეზათ, რომ მართლაც თვითეულ პროვინციაში და ხშირათ რომელსამე მაზრაშიაც კი თავისი საკუთარი ენა არსებობს. ასე გასინჯეთ, პეკინში რომ ერთს ენაზე ლაპარაკობენ, ათის ვერსის მანძილზე ქალაქ გარეთ სულ სხვა დიალექტს შეხვდებით. ამასთანავე ჩინურს ენაში ოთხი ბგერა არსებობს და სამხრეთ ჩინეთში კიდევ მეხუთეც ემატება. სხვა-და-სხვა სიტყვა სხვა და სხვა ბგერით გამოითქმის და ხშირათ ერთი და იგივე რავდენიმეთი. პირველ ბგერით სიტყვა თანაბრათ გამოითქმის, მეორე—ჩქარა, შემოკლებით, მესამეთი ხმის ამაღლებით და მეოთხეთი კიდევ—ხმის დაწევით. ერთი და იგივე სიტყვა სხვა და სხვა ბგერით გამოთქმული სულ სხვა-და სხვა მნიშვნელობას იღებს. ჯჟუნ მაგალ. პირველი ბგერით შუა ადგილს ნიშნავს, მეოთხეთი კი შუაში მორტყმას, სიმარჯვეს, საქმეში დახელოვნებას. იძ-ზა სხვა და-სხვა ბგერით სკამსაც ნიშნავს და საპონსაც. რომელიმე სიტყვა, თუნდ მარტო ერთის ბგერითაც რომ გამოითქმოდეს და თქვენ კი მეორეთი გამოსთქვათ, უბრალო ჩინელი ვერც კი მიგიხვდებათ, თუ რის თქმა გინდათ. ასრე რომ საჭიროა დაახლოვებით მაინც იმ ბგერით ილაპარაკოთ, როგორც ჩინელი, თუ გინდათ მობაასეს რამე გააგებინოთ. ამ ბგერათა შემწეობით ჩინელები ლექსიკონს იმდიდრებენ და უიმისოთ კი იგი ერთობ ღარიბი იქმნებოდა. ენის ასრეთი თვისება კი აშკარაა მის განუვითარებლობას მოწმობს და პირველ-ყოფილისას მოგვაგონებს, როდესაც ადამიანი უნდა ცდილიყო ერთისა და იმავე სიტყვის სხვა-და-სხვა ბგერით გამოთქმით სხვა-და სხვა ახალი აზრი გამოეხატა.. ამავე სიღარიბის ნიშანია განყენებულ ცნებათა ცალკე ტერმინით გამოუხატველობა. ჩინელს მანძილის, წონის ® სხვა ამგვარის გამოსათქმელათ სიტყვები არ ჰყოფნის; მანძილის მაგიერ «შორს-ახლოს» ხმარობს, წონის ადგილას «მსუბუქი-მძიმე»-ს და სხვა.

როგორც ზემო ნათქვამიდგან სჩანს. დიდათაა ენის მხრივ ჩინეთი დაყოფილი. ერთად ერთი სულიერად მისი გამაერთიანებელი მისი მწერლობაა დღევანდლამდე ჩინელები, როგორც ძველი ხალხი, იეროგლიფებით სწერავენ; ყოველი სიტყვა და თვითეული ბგერაც კი ჩინეთის მწერლობაში ცალკე ნიშნით გამოიხატება. ამ იეროგლიფთ შორის სულ მცირედია ისეთები, რომლებიც თვით საგნის სახეს გადმოგვცემდნენ, და თუ გამოსახვენ, ისიც ძალიან ნაკლებ მისახვედრათ. ერთის სიტყვით, ჩინურს ენაში რავდენიც სიტყვაა, იმდენი იეროგლიფიც ანუ, ჩვენებურათ რომ ვსთქვათ, ასო. მათი რიცხვი 44 ათასს აღემატება. კლასიკური წიგნების წასაკითხათ 10 ათასი იეროგლიფის ცოდნაა საჭირო. ყველა წიგნების წაკითხვა ხომ ჩინეთის თვით საუკეთესო მსწავლულსაც არ შეუძლიან.

საარაკო იეროგლიფები მარტო ჩინელებს არ უჭირავენ საქმეს. ჩინეთის კულტურის გავლენით იგი იაპონელთა, კორეველთა და ანამიტების (ინდოეთის ნახევარ კუნძულზე სცხოვრებენ) შორისაც იქმნა უძველეს დროიდგანვე შემოღებული და გავრცელებული. დღემდიც კორეველები და ანამიტები მარტო იეროგლიფებით სწერავენ და კითხულობენ. იაპონელები კი იეროგლიფებთან ერთად ორგვარ ანბანსაც ხმარობენ—კატაკამას და ხიროგამას. იაპონიის გაზეთებში იეროგლიფებს ხშირად ჩართული აქვთ ანბანით ნაწერი უბრალო განათლებულთათვის. სახალხო პოპულიარული წიგნები ამ ანბანითვე იწერება. იაპონელთა ენა ჯერ საკმაოთ არაა განვითარებული და იეროგლიფები კი თავიანთ გამოხატულობით მათ აზროვნებას ამდიდრებს. ამიტომ მათი განდევნა მწერლობიდგან ჯერ კიდევ მოუხერხებელია, თუმცა ეს საგანი იაპონიაში, როგორც წინეთაც ვამბობდით, სადღეისო საჭირ-ბოროტო საგნად გამხდარა.

ადვილი წარმოსადგენია, თუ რა დიდ შრომას ® ენერგიას უნდა თხოულობდეს ენის და მწერლობის შესწავლა. ჩინურ ტყვილათ კი არ მიაჩნიათ ჩინური ენა უძნელეს ენათ მთელს დედა-მიწის ზურგზე ® მისიწერის სიძნელე ხომ ჩვენში საანდაზოდაც გაამხდარა. და რა გასაკვირველია თუ ჩინელს ამისთანა ძნელ მწერლობის შემდეგ სხვა მეცნიერების შესწავლის მადა ეკარგება. თავის ენას და მწიგნობრობას ჩინელი 15—20 წელიწადი სწავლობს და ისიც იშვიათმა მათგანმა იცის რიგიანათ. ჩინელების ბეჯითობა და ენერგია ყოველ საქმეში ხომ სწორედ გასაცვიფრებელია ევროპიელთათვის... ჩინეთის განათლებული თავის ენაზე კითხულობს და სწერს, გაზეპირებული აქვს კონფუციის წიგნები, რომლებიც მათ მწერლობის მთელს დედა-ბოძს შეადგენენ და სხვას ამის გარეშე კი მისგან ნურას მოიკითხავთ. ზოგმა მათმა ინტელიგენტმა არც კი იცის, არსებობს ჩინეთის გარეშე სხვა რამე ქვეყანაც თუ არა. თავიანთ სამშობლოს ჩინელები ცის ქვეშეთს ეძახიან და მის საზღვრებს გარშემო ოკეანეთი [illegible] ჩინელ მსწავლულ ს

*) ხ. მისი—„Опытъ мандаринской грамматики“.

დღისათვის გადაიდო. ამ დღეს კრებამ განიხილა მხოლოდ ერთი მოხსენება. მოხსენება შეეხებოდა იმ მამულებს, რომლებიც ბანკს დარჩენია... ბევრი ამ მამულების გაუყიდველობას გამგეობის უმოქმედობაში ეძიებდა. კრებამ დაადგინა, არჩეულ იქმნას კომისია, რომელმაც მომავალ წლიურ კრებისათვის უნდა შეიმუშაოს მოსაზრებანი, თუ როგორ მოწესრიგდეს მამულების დაფასების საქმე, რათა ბანკს მამულები აღარ დარჩეს და ზარალი არ ჰნახოს. კომისიის წევრნი მორიგ საქმეთა განხილვის შემდეგ იქმნებიან არჩეულნი.

*** ტფილისის ქალაქის საბჭომ დაადგინა, ინჟენერს ალხაზოვს შემწეობა აღმოუჩინოს ფულით. გუბერნატორმა ქალაქის მოურავს მისწერა, ეს დადგენილება ჯერჯერობით სისრულეში არ მოიყვანოთო.

*** ქალაქის გამგეობამ დაადგინა, პროექტი საიურისკონსულტო სტოლის რეორგანიზაციისა განიხილოს იურისტთა თანადასწრებით.

*** როგორც გავიგეთ, კვირას თავ. სუმბათაშვილის „ღალატი“ არ იქმნება წარმოდგენილი. მის მაგიერად სდგამენ „ცხოვრების გარეშე“-ს.

*** შაბათს, 22 მაისს, მურაშკოს თეატრში (ავლაბარში) სცენის მოყვარულთა მიერ ვიქტორ მატარაძის მეთაურობით, წარმოდგენილ იქმნება „და-ძმა“ დაკლებული ფასებით.

*** წელს, ქუთაისის წმინდა ნინოს სასწავლებელში, როგორც შევიტყეთ, კურსი დაუმთავრებია სულ 30 ქალს. იმათში 17 ქართველია. აი მათი გვარები:

ამირეჯიბი მარგარიტა, ალიბეგოვი ოლგა, ბაქრაძე ეკატერინე, კახიანი ოიმპიადა, ვარდანაშვილი ნინო, გლადკოვი ნადეჟდა, გიორგობიანი მარია, ღოღობერიძე თამარ, იოსელიანი ალეთია, იოსელიანი ეკატერინე, კოპლაძე ნატალია, გამყრელიძე იულია, კვალიაშვილი ნინო, ურუშაძე ნინო, შენგელია თამარ, წულუკიძე ნინო, ელიავა დარია.

## სამი ახალი წიგნი ი. ს. გოგებაშვილისა.

(დასასრული).

როგორც ნამდვილი პედაგოგი, ბ. გოგებაშვილი აშფოთებულია იმ უმეცრულ წესით, რომელიც არსებობს ჩვენში. ხშირად შეხვდებით, რომ 2—3 წლის ქართველ ბავშვს აწყებინებენ რუსულ ენას, ხან და ხან ფრანგულსაც ან ნემეცურს. ადვილი მისახვედრია, თუ რა ემართება ამგვარ ბავშვს: მას ერევა გონებაში სიტყვები, აზრები და შემეცნებანი, იჟეჟება და ბეჩავდება უცხო ენათა სიმძიმის ქვეშ ბავშვის ნორჩი სული და ამ რიგათ სახიჩრდება მთელი მისი ფსიხიკა და განსაკუთრებით ინტელექტი. ამგვარ ანორმალურ და სულის შემზარავ მოვლენას ჩვენ ვმზერთ უმეტესათ ინტელიგენტ-არისტოკრატთა ოჯახებში. ვკვირობ და ვერ ამიხსნია, ნუ თუ ამ განათლებულ მშობელთ არ ესმით ეს პედაგოგიური აქსიომა, რომ ბავშვს ჯერ კარგათ უნდა შეასწავლო დედა-ენა და შემდეგ დააწყებინო სწავლა უცხო ენაზედ?! ნუ თუ არ ესმით, თუ როგორ ღუპავენ თავიანთ შვილებს არა პედაგოგიურ და მავნებელ სისტემით?! ნუ თუ არ ებრალებათ ეს უმანკო არსებანი?!

კიდევ უფრო ამაშფოთებელ საქციელს სჩადიან ჩვენი ზოგიერთი ინტელიგენტნი და «პატრიოტნი». ესენი ქირაობენ ძიძათ რუსის «მათუშკებს» და აწყებინებენ ბავშს აკვნიდანვე რუსულ ენაზედ ლაპარაკს, ვითომდა კარგად შეისწავლის ამ ენას და სკოლაში პირველი მოწაფე იქნებაო, ქართულ ენას კი ყოველთვის ისწავლისო. ამგვარი არა საამო მაგალითი მე ვპოვე არა ერთი და ორი მოგზაურობის დროს საქართველოსა და კავკასიაში. ჩემს შენიშვნაზე ამ «პატრიოტებმა» იმით გაიმართლეს თავი, რომ ქართველი ძიძა-გოგო ვერ ვიშოვეთო. მე გამეცინა. თითოეულ მათგანს აქვს კანონიერი და უკანონო შემოსავალი წლიურათ ხუთიდან ათი ათას მანეთამდე. თქვენ თვითონ უწოდეთ მკითხველო, შესაფერი სახელი ამგვარ განათლებულ მამულიშვილთ, რომელნიც ეგრე აბუჩად იგდებენ თავიანთ დედა-ენას!

— ერთმა დიდად ცნობილმა ქართველმა პუბლიცისტმა კი, რომლის ბავშვები ქართულში ფრიად სუსტობდნენ, ჩემს შენიშვნაზე რიხით მიპასუხა: „სამშობლო ენის უვიცობა არ უშლის კაცს ხელს, რომ კარგი მამულიშვილი იყოსო. ქართული ენით შორს ვერ წავალთო და სხვა და სხვა... სცდებით, ბ-ნო პუბლიცისტო! დედა ენის უვიცობა ძლიერ უშლის ადამიანს ხელს, რომ იგი შეიქნეს სასარგებლო მამულიშვილი. არ შეგიძლია ჭეშმარიტად შეიყვარო ის ერი, რომლის ენა არ იცი, თუნდ ამ ერს ეკუთვნოდე შენ. ამ აზრისაა ფინი, სომეხი და პოლონელი, ამ აზრისა არიან მეცნიერნი და პედაგოგნი, ამ აზრისაა მთელი ევროპა. მხოლოთ ამ აზრის არა ვართ ქართველთა უმეტესობა და სწორეთ ამიტომა ვართ კიდეც დაჩაგრულ დაუკანებულნი ყველაფერში.

ჩვენ საოცრად ვცდილობთ, რომ ჩვენმა შვილებმა კარგად იცოდნენ რუსული ენა, ვცდილობთ, რომ ჩვენ თვითონ გვქონდეს ამ ენაში კარგი გამოთქმა, გვეშინია ბაასის დროს არ შევცდეთ რამეში, საშინლად ვწითლდებით, თუ უცებ შეგცდა რამ გრამატიკაში ან ხმა ვერ აუწიეთ თავის ალაგას, მაგრამ სრულებით არაფრათ ვაგდებთ, თუ ცუდათ ვისაუბრებთ დედა-ენაზედ. აქ ცუდი ლაპარაკით მოგვაქვს კიდეც თავი. ამაზედ მეტი შერცხვენა და თავს ლაფის დასხმა კიდევ იქნება!? რუსი, ფრანციელი, ნემეცი, პოლონელი და სხვა ყველა შეგნებულნი ერნი ცდილობენ, რაც შეიძლება კარგათ შეისწავლონ თავიანთი დედა-ენა, წითლდებიან, თუ რამე შესცდათ თავიანთ ენაში, მაგრამ სრულიად არ უკვირთ და არ სწუხან, რაც უნდა ცუდათ იბაასონ უცხო ენაზედ. ჩვენ კი ყველაფერი უკუღმა გვესმის და ყველაფერს უკუღმა ვასრულებთ. და ასე უმეცრულათ იქცევიან ჩვენში არამც თუ მარტო უვიცნი, არამედ დიპლომიანი მამულიშვილნი, მსახიობნი და ლიტერატორნი...

აი როგორ ასაბუთებენ ზემორე თქმულ აზრს ცნობილნი მეცნიერნი:

— «ბავშვს ჯერ დედა-ენა უნდა ასწავლო და მერე უცხო ენა, ერთი-მეორის შემდეგ. თუ ერთ დროს დააწყებინე ორივე ენის სწავლება, ბავშვს გონებას დაუბნევ, ამბობს პედაგოგთა მამათ-მთავარი კომენსკი.

— «ამ რიგათ აღზრდილი კაცი, ამბობს უშინსკი, ვერ შესძლებს იოტის ოდენა რამ შემატოს ხალხის გონებით სიმდიდრეს, ვერ შესძლებს უცხოური აქციოს ეროვნულათ; ვერას დროს ვერ შეიგნებს თავის ერს და ვერას დროს ვერც ერისაგან იქნება იგი შეგნებული; იქნება უსარგებლო წევრი საზოგადოებისა, იქნება საბრალო კაცი, სამშობლოს მოკლებული და მას ვერვინ უშველის, რაც უნდა ცხარე პატრიოტობის მასკა ჩამოიცვას».

დედა-ენის უარყოფას თან მოსდევს კიდევ ერთი ფრიად ცუდი მოვლენა, რაც სამართლიანათ აღნიშნა ჩვენმა პედაგოგმა. ეს ცუდი მოვლენა შეუნიშნავთ ევროპაში. «ახალი თაობა აღზრდილი თავის ენის, ქვეყნის და ისტორიის უვიცობაში და აბუჩათ აგდებაში, გულს იცრუებს დედ მამასა და ნათესავებზედ და ხშირათ შვილობრივ სიყვარულის მაგიერ სიძულვილს უჩვენებს მათ და ამ სახით ირღვევა ოჯახობა, სახლობა, ეს ქვა-კუთხედი ყოველი ერის სიმტკიცისა და წარმატებისა», — ბრძანებს ბ. გოგებაშვილი.

ზემორე მოყვანილ აზრთა და მაგალითთაგან, ნათლათ სჩანს რა დიდი მნიშვნელობა აქვს დედა-ენას ერისათვის და ადამიანისათვის. ამიტომ ათასჯერ მართალია ფიხტე როცა ამბობს, რომ «მხოლოთ იმ ერს შეუძლია პროგრესის გზაზედ იაროს, რომელიც აზროვნობს და მეტყველობს თავის დედა-ენაზედო».

აქვე უნდა აღვნიშნოთ ერთი ფრიად სამწუხარო ფაქტი: დედა-ენის უკუგდებას და ეროვნულ აღზრდის უარყოფას ისე ცუდათ არავიზედ არ უმოქმედნია, როგორც ჩვენ ქალებზედ. რუსულმა სკოლამ, ამ ხელოვნურმა სფერამ დაკნინა მათი სული, მოუშალა ხასიათი და გაურყვნა ზნეობა. ასში ერთი ან ორი თუ ჰგავს რამეს, დანარჩენნი წარმოადგენენ რაღაც ტიკინებს, რაღაც უსულო და უგულო არსებათ, მოხარშულთ და წადილ-ენერგია მოკლებულთ. სწორეთ გული გიკვდება კაცს, როცა მზერ ამ საშინელ სურათს. სადღა არიან ნეტა ის წინანდელნი ქალნი, ის სულით ძლიერნი, გონებით ფხიზელნი გმირნი არსებანი, რომელნიც აძლევდენ პიწია ქართველს ერს ძალას და უკვდავებას?! სადღა არიან?!..

ეს სავალალო მოვლენა აღნიშნა თავის შრომაში ბ. გოგებაშვილმა და სწორეთ პატრიოტულის სიმწარით გაიძახის: «არსად ნასწავლი ქალობა ისე დაქვეითებული არ არის, როგორც ჩვენში. გულწრფელათ რომ გამოტყდეთ, ათიოდე მანდილოსნის გარდა მთელი ჩვენი ნასწავლი ქალობა წარმოადგენს თავსუბუქა არსებათა გროვას, რომელნიც მოკლებულნი არიან საღს ადამიანურს აზროვნებას, მაღალ მისწრაფებას, დამჯდარ ხასიათს და წამის შთაბეჭდილებანი მათ ათამაშებენ, როგორც ქარი ბუმბულს. ქართველმა ქალმა ვერ იჩინა თავი ვერც ერთ მეცნიერებაში, ვერც საზოგადო საქმეში. ახლანდელი ქართველი ქალი აჩრდილიც არის წინანდელის მანდილოსნისა, რომელიც წარმოადგენდა მტკიცეს, განსაზღვრულ და მეტად პატივსაცემ ტიპს, აღზრდილსა და დამთავრებულს ეროვნულ ნიადაგზედ.»

ასჯერ გმართებს გაგონება, არ გეყოფის არ ერთხელი», ბრძანებს უკვდავი შოთა, და სწორეთ ქართველებზედაა გამოჭრილი ეს შენიშვნა. ასმა წელმა ისე დაგვაყრუა და დაგვასაპყრა, რომ სწორეთ ასჯერ გვინდა გაგონება, რომ იქნებ შევიგნოთ რამე. ის რაც საყოველთაო აქსიომათაა ცნობილი, ის რაც ყველასთვის საანბანო ჭეშმარიტებაა, ჩვენთვის იგი მიუწდომელი სიბრძნეა. ყველას თითქო გვესმის დედა-ენის და ეროვნულ აღზრდის მნიშვნელობა, თითქო ვქადაგებთ ამას მწერლობაში, კრებაში და მეტადრე გაშლილ სუფრაზედ, მაგრამ რას ვშვრებით საქმით? არაფერს... სკოლა-ეკლესიებიდან გვაცლიან დედა-ენას, ჩვენს სხვა და სხვა მხარეს უშლიან ქართულის სწავლას და უარსებენ თავისებურ ანბანს, ჩვენს ქალსა და ვაჟებს ამახინჯებენ სკოლაში, და ჩვენ კი... ჩვენ ვუცქერით ამას გაბეცებულნი იელნაჭამ თხებივით და არ ვიღებთ ხმას. არ ვიღებთ ხმას მიტომ, რომ გვეშინია რაღაცასი... არ ვიღებთ კიდევ ხმას, მიტომ რომ არ გვესმის ღრმათ დედა-ენის და ეროვნულ აღზრდის მნიშვნელობა ჩვენი შემეცნება ამ საგნებზედ ბჟუტავს მხოლოთ გონებაში, არ გართხმულა სულში, არ ქცეულა გრძნობათ...

ვეცემით სულით და ხორცით, ვიწამლებით, ვირყვნებით, ვსახიჩრდებით და ჩვენ კი ვყურობთ... როდის გავიღვიძებთ როდის ამოვიღებთ ხმას, როდის ვიგრძნობთ შეცდომას, როდის დავადგებით სწავლა განათლების ჭეშმარიტ გზას?!..

ს. ქვარიანი.

## ჩვენებური ამბები

**კახეთი.** [illegible] ცვლილებამ [illegible] მცხოვრებნი, რომ აღარ იციან, რა [illegible] ხეობაზე ხელი [illegible] თუ როგორ [illegible] იქცნენ. დადგება თუ არა გაზაფხული, დაიწყობა ქუხილი, ელვა, ქარიშხალი და სეტყვა. ამ უკანასკნელმა სტიქიონის ძალამ ხომ ორად მოკაკვა გლეხ-კაცი. ისე დაშინა, რომ ნიადაგ ცას შეჰყურებს და, თუ სეტყვის ღრუბელი შეამჩნია ცაზე, მაშინვე ზარებს აუყენებს წკარა-წკურს, გადამხულ—ევლოგიის კელეპტრის ნამწვს ანთებს და ღვთისმშობლის ხატს გამოიტანს და, თუ ამ დროს წვიმა მოდის, შეუშვერს, რათა ამით შეასმინოს რომ ქრისტიანია და სეტყვა აიცდინოს, მაგრამ ამაოდ. სეტყვა თავისას არ იშლის და რამდენისამე წამის განმავლობაში მიწასთან აქცევს მთელის წლის ოფლით მორწყულ ნაამაგევს. მერე ისე არას დროს არ არის საზარალო სეტყვა, როგორც გაზაფხულზე. ამ დროს ყოველივე ჭირნახული ცის ქვეშაა, ვაზსაც კვირტი ნორჩი აქვს. საკმარისია სულ უბრალო ხორხოშელა, რომ კვირტი დააზიანოს, მაგრამ ხორხოშელა რა სათქმელია იმ სეტყვასთან, რომელიც მაისის პირველ რიცხვებში თელავის მაზრის ზემო სოფლებში მოვიდა. რამდენიმე სოფელი ზოგ ადგილას ისე დაუსეტყავს, რომ მემამულეთ მეზვრეები წასვლიათ. რამდენიმე წელიწადია, ეს მხარე სულ ისეტყვება. შარშან მცხოვრებთ მორტირების შეძენა მოიწადინეს, მაგრამ აღარაფერი ისმის და მგონი თავი დაანებეს.

ამას გარდა, სოფ. წინანდალშიაც მო[illegible] და სეტყვა. დასეტყვა სოფლის მცირე ნაწილი და არც დიდი ზარალი მოუტანია. მთელი აპრილ-მაისი სულ ავდარია, ისე რომ დარი დაგვენატრულდა და ჭირნახულიც ძალიან საჭიროობს.

შიდა-კახელი.

**დუშეთი.** საზოგადოდ რომ ვსთქვათ, სხვა მაზრებთან შედარებით, დუშეთის მაზრა მშვიდობიანი მაზრა არის, მაგრამ აქეთაც კი გვესტუმრებიან ხოლმე ისეთნი, რომელთაც თვის ხელობად ქურდობა-ავაზაკობა გაუხდიათ. მშვიდობიანს ისედაც ბევრი საქმისაგან წელში გატეხილ მხვნელ-მთესველს აწუხებენ. ერთმა ამისთანა ქურდ-ავაზაკთა ბრბომ ბინა დუშეთის მაზრის ქალის თავზე გაიკეთა: გამვლელ-გამომვლელს ეხუბებიან და სძარცვავენ. ერთის კაცისათვის თითები და ხელი სულ ხანჯლით დაუჭრათ. აზნ. გიორგი შაბურიშვილს მოჰპარეს ცხენი. შაბურიშვილიც კვალზე დაედევნა და ზედ იმ ალაგას მიიყვანეს ცხენი, სადაც იმათი ბინა არის და, მანამ ცხენი არ დაანებეს, სანამ ერთი თუმანი არ წა-

---

შეხედულობით, რასაკვირველია, მზე ბრუნავს და არა დედა-მიწა. ეტყობა ჩინეთი თავის საკუთარს გალილეის ელის!

როდესაც იაპონელებმა ომის შემდეგ ჩინეთს დიდი კონტრიბუცია დაადეს, ჩინეთის მბრძანებელი, რომ ქვეშევრდომთა თვალში თავის დიდება არ დაემცირებინა, სახელმწიფო უქაზში სწერდა, ზღვის იქით ლატაკი ხალხი—იაპონელები სცხოვრობენ, რომლებიც მოვიდნენ და ჩინელებს მოწყალება სთხოვეს; მეფემაც შეიცოდა იგინი და რავდენიმე ასი მილიონი უწყალობაო. და ამ გვარის ახსნით მართლა რომ უვიც ჩინელების მოტყუება შეიძლებოდა. ჩინეთის მწერლობის თავისებურობით აიხსნება ის გაუგებარი შეხედულება, როგორისაც ევროპიელნი მოგზაურნი ჩინელთა განათლების შესახებ არიან. ზოგი რომ ყველა ჩინელს წერა-კითხვის მცოდნეს უწოდებს, სხვანი სულ წინააღმდეგს ამტკიცებენ. მართლაც და ძრიელ იშვიათად შეხვდებით ისეთს ჩინელს, რომელიც თავის ენაზე არ სწერდეს და არ კითხულობდეს. მაგრამ თვითეული მათგანი რავდენსამე ათას იეროგლიფიდგან სულ რავდენსამე ასს სწერს და კითხულობს. მთელი წიგნის ან გაზეთის წაკითხვა კი იშვიათ მათგან შეუძლიან ასრეთ, მცოდნეს შესახებ აზრის არევა, რასაკვირველია, სულ ადვილია.

მკითხველი უეჭველია ბევრს უსაყვედურებს თავის გულში ჩინელ მეცნიერთ, რატომ აქამდის ევროპიულ ანბანს არ შემოიღებენო. ამას, რასაკვირველია, დიდათ ხელს უშლის ჩინელთა და ნამეტნავათ მის მწიგნობართა ყველასაგან ცნობილი სიძველის-მოყვარეობა. ჩინეთის ინტელიგენცია იმავე — ბიუროკრატს კარგათ ესმის, რომ ამგვარის ცვლილებით სწავლა-განათლება დიდათ გავრცელდება ხალხში და ამით ხომ მათ ფასი დაეკარგებათ. მეორე მხრით ამ მოვლენას თავისი საპატიო მიზეზიც აქვს. როგორც ზემოთაც ვსთქვით, ჩინეთში მრავალი კილოკავებია. ევროპიული ანბანის შემოღებით ჩინეთში რავდენიმე ენა გაჩნდება და სულიერათ ჩინეთი დიდათ დანაწილდება დღეს კი მას მწერლობა აერთებს: იეროგლიფები მთელს ჩინეთში ერთი და იგივეა.

ერთს რომელსამე სიტყვას, ერთისა და იმავე იეროგლიფით დაწერილს, ჩრდილოელი ჩინელი მაგალ. სხვა ნაირათ გამოსთქვამს, სამხრეთელი კი სულ სხვანაირათ; მნიშვნელობას კი ამ იეროგლიფს ერთ და იმავეს აძლევენ. ისრე რომ ჩრდილოელი რომ სამხრეთელს ელაპარაკოს, ერთმანეთს ვერაფერს გააგებინებენ, დაწერით კი ყველაფერს გადასცემენ». ჩინეთშიო, — ამბობს იგივე პროფ. ვასილევი, — არ არის თითქმის არც ერთი ისრეთი ხელთ-ნაწერი ან დაბეჭდილი წიგნი, რომელზედაც შეიძლებოდეს ითქვას, რომ როდესაც იგი ხმა-მაღლა იკითხება, წერა-კითხვის უცოდინარ ჩინელს მისი გაგება შეეძლოს, იმიტომ კი არა, რომ სიუჟეტი მისთვის გაუგებარი იყოს, არამედ იმიტომ, რომ დამწერს სახეში ჰყავდა მკითხველი და არა მსმენელი: წერის დროს სიტყვებში კი არა თვით ნაწერი ჰქონდა სახეში, რომელმაც უძველესი დროიდგან მისდამი მიაღწია და სულ ერთ და იმავე გვარად იწერებოდა» *).

ამ გვარად აერთებენ იეროგლიფები მთელს ჩინეთს და ამიტომაა ძნელი მათი განდევნა. მანჯურელი წყალს «სუი»-ს ეძახის პეკინელი კი—«შუის»-ს. ანბანით რომ დაიწეროს ესა, ორი სხვა და სხვა სიტყვა გამოვა. იეროგლიფი კი წყალის სახელს ერთი აქვს. ამ იეროგლიფს მანჯურელი ჩინელი სიუ-თ კითხულობს, პეკინელი კი—შუი-თ და ერთის იეროგლიფის შემწეობით ორივე ერთს ცნებას-წყალს გამოხატვენ. უნდა ვიფიქროთ, რომ შემდეგში, როდესაც ჩინეთი მტკიცეთ შესდგება რეფორმების გზაზედ, ანბანის შემოღება აუცილებელი საჭიროება შეიქნება და ამას მრავალ ენებათ დაყოფის შიში ველარ შეიკავებს. იქაც ქვეყნის სულიერათ გაერთიანებას ეკონომიური ვითარება თუ შესძლებს, თორემ იეროგლიფები ველარას უშველიან...

გრამატიკული ფორმები ჩინურს ენაში ძალიან მცირედი და მარტივნი არიან. ამან დაჰბადა მისის გრამატიკის ზოგიერთისაგან სრული უარ-ყოფა. განსვენებული პროფ. ვასილიევი და აგრეთვე ბევრი ევროპიელი მეცნიერნიც — შლეგელი, ჯაილსი და სხვა ამტკიცებდნენ, რომ ჩინური ენა არავითარ გრამატიკულ კანონებს არ ემორჩილებაო. ზოგნი რომ ჩინურ ენას სიმარტივეს მის განუვითარებლობით ხსნიან, მეორენი დიდ განვითარებას ხედავენ, როგორც ინგლისურისაში. ინგლისურ ენის გრამატიკა ერთობ მარტივია და ადვილია. ჩინურიც ისევეო. ჩინელი კა არ იტყვის მაგალ. მე მიყვარს, შენ გიყვარს, იმას უყვარსო. იგი სულ ერთ ფორმას გაიძახის: მე მიყვარს, შენ მიყვარს და სხვა... შორეულ აღმოსავლეთში და მანჯურიაში ჩინელებმა თავისი ენის სიმარტივე რუსულშიც კი შეიტანეს. უბრალო ჩინელი მაგ. **я сплю**-ს მაგიერ **моя спить есть**-ს ამბობს **я тебя не понимаю**-ს მაგივრად **моя твоя не знаетъ**-ს ხმარობს და სხვა. სიმარტივით ჩინურისა და ინგლისურის ენის შედარება მართლაც რომ შეიძლება; მაგრამ ეს სულაც არ აიხსნება მის მაღალ განვითარებით. ეს მხოლოდ ამტკიცებს, რომ ზოგიერთ რამეში განათლებულ კაცობრიობის ცხოვრება ძველს უბრუნდება.

ჩინეთის კულტურის ცალმხრივმა განვითარებამ, რასაკვირველა, თავისი ბეჭედი დაასვა მის აზრსა და მწერლობასაც. თუ ერთი მხარე აზროვნებისა—ფილოსოფია და განსაკუთრებით მატერიალისტური შეხედულება ძველადვე განვითარდა, სიტყვა-კაზმული მწერლობა და პოეზია დღევანდლამდე განუვითარებელია და უინტერესო. ადგილის სიმცირემ და, ნაკლების კულტურის გამო, ბუნების ნაკლებმა გამოყენებამ ჩინელს ცხოვრება მეტად გაუძნელა, [illegible]ობისათვის მკაცრმა ბრძოლამ მ[illegible]ბას ფრთები შეაკვეცა და საზრუნავად მარტო ეს ქვაყანა გაუხადა. მაღლა ფრენისთვის არ ეცალა, კუჭის ტკივილი აწუხებდა და ამიტომაა მეტათ ღარიბი მისი პოეზია და მის მთელ აზროვნებას კიდევ მატერიალისტობა სძალავს. რაც შეეხება იმას, რომ ბუნების მეტყველებაც სრულიათ განუვითარებელია და შეიძლება ითქვას, რომ იგი დღესაც თითქმის სულ არ არსებობს, ამის მიზეზია ჩინეთის ცხოვრების ერთ დონეზე შეჩერება. როგორც ყველგან სხვაგან, ჩინეთშიც ფილოსოფია დიდათ ადრე დაიბადა ბუნების-მეტყველებაზე. ჯერ ისევ ქრისტემდე ჩინეთის ბრძენნი ფილოსოფიურს და ეთიკურს ტრაქტატებს სწერდნენ. მასუკან დაწყებული თითქმის ჩვენ დრომდე ჩინეთის გონებრივ ცხოვრებას არავითარი გარეშე გავლენა არ ამოუცდია. სრული განცალკევება ჩინეთისა სხვა ქვეყნებისგან ამ გონებრივ მხარესაც დაეტყო. რაც წინეთ გაჩნდა, მხოლოდ ის დარჩა და ძალიან მცირედ განვითარდა. ახალი კი აღარა წარმოიშვა.

ასრეთია ჩინური ენა და მწერლობა მოკლეთ და ვრცლათ ხომ ჩვენს მკითხველს სამშობლო ლიტერატურაც არ აინტერესებს!..

გ. ღვაძე.

---

*) იხ. მისი „Очеркъ исторіи кит. литературы“.

აგლიჯეს. ჯერ გაზაფხული არც კი დამდგარა და ამ ქალისა და ნარეკვავის თათრებმა ეხლავე მოიპარეს რამდენიმე ცხენი და კამბეჩი და, როცა გაზაფხულდება და საქონელი ნოყიერ ბალახით სულს მოიდგამს და გასუქდება, ეს ქურდების ბრბო, ქალის თავის თათრებისაგან შემდგარი, ცხენს კი არა, ვირსაც აღარ დააყენებს დუშეთის ახლო მახლო. რასაც, რასაკვირველია, ეხლავე ყურადღება უნდა მიექცეს და ეს ქურდები ამ დუშეთის მაზრიდან უსათუოდ უნდა გაირეკოს, რომ ხალხი შარშანდელებრ არ შეაწუხონ და გლეხი კაცის მარჩენალი ხარი და კამბეჩი თავიანთ ცხენებით ქურდებმა არ ჩაიგდონ ხელში, მ. თ. უმეტეს, რომ ამათ აქ არაფერი საქმე არა აქვთ და ტყუილა საქურდლად დაეხეტებიან.

ანანურის სოფლის საზოგადოებამ აპრილში დაადგინა განაჩენი სოფელს ანანურში სასოფლო სამინისტრო სკოლის დაარსებისა თავის მამასახლის ცქიმანურის ჩაგონებით და გუბერნატორს წარუდგინა დასამტკიცებლად. სოფელი კისრულობს სახლის აგებას, მოსამსახურე ბიჭის ქირას და წლიურ გადასახადს კომლზე 1 მ. 20 კ. მხოლოდ ამ თავით მთავრობა, 800 მანეთის შემწეობას აძლევს სახლის აშენებისათვის.

მღ. სვიმონ წერეთელი.

—

ს. **ახალდაბა.** (დუშეთის მაზრა) სოფელს ახალდაბაში მეტად შემაძრწუნებელი ამბავი მოხდა. შვიდ მაისს ამ სოფელში, რომელიც წილკნის ახლოა შვიდმაისობას დღესასწაულობდნენ, შექეიფიანებულან გლეხებს ერთად სადილის დროს არაყით, ლუდით, მოსვლიათ ერთმანეთში ჩხუბი, და ხანჯლებით, კეტებითა და ქვებით ერთმანეთს დარევიან. როდესაც იასონ დიდებაშვილს დაუნახავს, რომ მის მამა სცემენ და ერთ ბაჩუნაშვილს ხანჯალიც კი დაურტყამს, მაშინათვე შინ გაქცეულა, გამოუტანიათ ორ ლულიანი გატენილი თოფი, ჯერ ერთი ბაჩუნაშვილი მოუკლა და მერე მეორე ძმა, რომელნიც იმავ საათში გარდაიცვალნენ. მესამე ძმას კი ჩხუბში სხვამ მოახვედრა რევოლვერის ტყვია და ძალიან მძიმე დაჭრილიც არის და მის გადარჩენაც ძალიან საეჭვოა, რადგან ცუდ ალაგას არის ტყვია მოხვედრილი. გლეხი იასონ დიდებაშვილი და ორი წილკნელი ბიჭი მაშინათვე დუშეთის საპყრობილეში დაამწყვდიეს. ამ ჩხუბის დროს შვიდი-რვა კაცი სხვა არის დაჩეხილ დამტვრეული.

---

## ქართული თეატრი.

კვირას, 16 მაისს სცენის მოყვარულთა გაიმეორეს ა. სუმბათაშვილის პიესა «ღალატი».

ამ წარმოდგენამ ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ იქ, სადაც საქმის სიყვარული და სინიდისიერი შეგნება მოვალეობისა გამეფებულა, ბევრი რამე გაკეთდება, თუ, რასაკვირველია, საზოგადოებაც დახმარებისა და თანაგრძნობის ხელს მიუწვდის მშრომელთ. სცენის მოყვარულთა ხელში «ღალატმა» თითქმის სრულის ანსამბლით ჩაიარა და ზოგიერთის თამაშობა იმ საღამოს არაფრით არ ჩამოუვარდება ხელოვნით მსახიობთა თამაშობასაც.

ცალკე მოთამაშეთაგან უნდა აღვნიშნოთ ზეინაბის როლის ამსრულებელი ქ. რომანიშვილი, რომელმაც დიდის ტემპერამენტით წარმოადგინა ზოგიერთი ადგილი თვისის რთულის როლისა; ბ-ნი ლეხურელი (ანანია), რომელმაც თითქმის სრული ტიპი მოგვცა ცხოვრებაში გაკაჟებულის, ომში ნაცადისა. ღირსია აღნიშვნისა აგრეთვე ი. ზურაბიშვილის თამაშობა, რომელმაც ოთარ-ბეგის გაპიროვნებაში თავისებური აღსნა და განმარტება ჩაურთო და საკმაო ხელოვნებით გადმოგვცა ზოგიერთი მომენტი როლისა. საერთოდ კი ი. ზურაბიშვილის ოთარ-ბეგს აკლდა სიდინჯე მოძრაობის დროსა და შესაფერი გრიმი, რომელიც სცენის მოყვარულს აყმაწვილებდა და უკარგავდა იმ მამაცურს, ახოვან შეხედულებას, რომელიც ოთარ-ბეგს უნდა ჰქონდეს.

ცხადია ყველა ის წვრილმანებია და ღმერთმა ჰქმნას მხოლოდ ამისთანა წვრილმანებით თავდებოდეს თვით ჩვენ «ნაფიც» მსახიობთა თამაშობაც.

ა. ყანჩელი გამოცდილ მსახიობს მოგვაგონებდათ ისე გაბედულათ თამაშობდა და კარგი სულეიმანიც იყო, მხოლოდ რიხიან ხმაში და სიტყვების სასტიკს, მედიდურ გამოთქმაში კაცი ხან და ხან კომიკურ ნოტებს მოჰკრავდა ყურს

სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ ნ. კუმსიშვილის თამაშობაც გაიანეს როლში. ახალ-გაზრდა სცენის მყვარულმა სცენის დიდი ნიჭი გამოიჩინა და ბუნებრივის სიმკვირცხლითა და სიცოცხლით გადმოგვცა მოთამაშეს ცელქი შემორბენაც, უცნობის გრძნობით გამსჭვალაც და მაიკოსთან გონიერი, მოფიქრებული ლაპარაკიც. ნ. თარხან-მოურავს ყველაფერი ხელს უწყობდა, რომ ჩინებული რუქაია ყოფილიყო, ლამ ზი, მოხდენილი გარეგნობა, მოძრავი სახე ყველა ის ღონისძიებას აძლევდა სცენის მოყვარულ ქალს სინამდვილით დაეხატა აღმოსავლეთურ ჰარამხანში გახრწნილი არსება, და თუ ვერ შესძლო, ეს იმის ბრალია, რომ ყმაწვილ ქალს სიტყვების გამოთქმა არაქართული აქვს. და ეს გარემოება შთაბეჭდილებას ხელს უშლიდა.

ვერ ვეთანხმებით აგრეთვე გ. ანანიაშვილს, რომელმაც დაითოს ხინჩლასებური (ბიძიასთან გამოხუმრება) ელფერი მისცა და ანანურელ მთიულის კილოსა და გამოთქმის დაცვაში გართულს დაავიწყდა, რომ დათო მომზადებული მამულიშვილია, რომელიც აჯანყებულთა სათავეში სდგას და, მაშასადამე, ის «ხეპრული» ხასიათი, რომელიც ყოველთვის ხინჩლას წარმოდგენასთან გვაქვს შეერთებული, იმას არ შეეფერება.

თეატრი სავსე იყო ხალხით.

ქ. ყ—ნა.

---

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

19 მაისი.

**პეტერბურგი.** დეპეშა გენერალ-ადიუტანტის ალექსეევისა მისს უდიდებულესობის სახელზე 18 მაისს: «უ ვეშევრდომილესად მოვახსენებ თქვენს უდიდებულესობას, მივიღე კონტრ ადმირალ ვიტგეფტისა და გრიგოროვიჩისაგან შემდეგი მოხსენებანი: 15 მაისამდე ვიპოვნეთ და ავაფეთქეთ რეიდში მრავალი იაპონელთა ნაღმები. როგორც ეტყობა, გემების მაგივრად იაპონელნი ნაღმებით ხერგავენ შესავალსა. ამ ნაღმებს აწყობენ სავაჭრო გემებიდან».

დეპეშა გენერალ-ადიუტანტის კუროპატკინისა მისს უდიდებულესობასთან 18 მაისით: «ფინხ-უანჩენისაკენ სიწყნარეა. სიუიანი იაპონელებს არ დაუჭერიათ. ემ ნევა, რომ იაპონელთა რაზმები მდინარე სეძიხეს ხეობიდან ნელ-ნელა იწევენ აღმოსავლეთად. 17 მაისს იაპონელთა ორი როტა და 30 დრაგუნი დაგუშანის გზით უულასსისაკენ წავიდნენ, უნდოდათ მარცხნივ შემოევლოთ ჩვენის მზვერავებისათვის, მაგრამ დროზე გავიგეთ და სროლის დროს დაიჭრა ერთი ყაზახი და მოკლეს ერთი ცხენი. იაპონიის რაზმი, რომელთანაც ჩვენს ცხენოსნებს ჰქონდათ შეტაკება 17 მაისს, შეჩერდა ოთხს ვერსზე ვაფანგოუს სადგურიდან და აქ სიმაგრეს იკეთებს. სხვა მოძრაობა იაპონელთა ლიაონის გზისაკენ არ შეგვიმჩნევია“.—გენერალ სახაროვის დეპეშა უმთავრესს შტაბში 19 მაისით: «როგორც რაზმის უფროსი იუწყება 17 მაისს ვაფანგოუსთან ბრძოლის დროს იაპონელებს ჰყავდათ სათადარიგოდ სამ ბატალიონამდე ქვეითა ჯარი; ჩვენი ზარალი: მოკლულია 3 ჯარის-კაცი, დაჭრილია 32, მოკლულია 17 ცხენი, დაჭრილია 23; დაიჭრა ასისთავი ფონ მეიერი, მეორე დაჭრილ აფიცრის გვარი ჯერ არ შეუტყობინებიათ. იაპონელთა ზარალი დიდია; მე-13 პოლკის ერთი ესკადრონი იაპონელთა მთლად მოისპო ხელჩართულ ბრძოლაში; იაპონელებს 19 ცხენი წავართვით».

20 მაისი

**სტამბოლი.** აბაშეთიდან მოვიდა მთელი საელჩო, რომელშიაც არის გენერალი და რამდენიმე მღვდელი. ესენი იყვნენ იერუსალიმს და თან მოიტანეს ნეგუსისაგან სულთანისათვის გაგზავნილი 12 ყუთი საჩუქარი. რუსეთის საელჩოს საშვალებით აბაშეთის მისსიამ პირდაპირ დაუწყო მსოფლიო პატრიარქს მოლაპარაკება. ამ ფაქტიდან ის დასკვნა გამოჰყავთ, რომ აბაშეთისა და მართლმადიდებელთა ეკლესიათა შორის დაახლოვება მოხდა.

**მოსკოვი.** საერო განათლების სამინისტროს გამგემ ინახულა ცესარევიჩ ნიკოლოზის ლიცეი ხვალ გენერალ გლაზოვს წარუდგებიან უნივერსიტეტის პროფესორები და სასწავლებლების უფროსები.

**ბაქო.** ზოგიერთმა ბაქოელმა ვაჭრებმა-თათრებმა მეორე დრაგუნის პოლკის ჯარისკაცთა შესაწევნელად, რომელნიც შორეულ აღმოსავლეთს მიდიან, შეკრიბეს 10,825 მ., გადსცეს გუბერნატორს და სთხოვეს გაუგზავნოს პოლკის უფროსს პოლკოვნიკს ჰუსეინ-ხან-ნახიჩევანელს.

**ბერლინი** (საკუთ. კორესპ.). რადგანაც რუსები მიდიან კორეის ჩრდილო-აღმოსავლეთის ნაწილისაკენ, იაპონელებს განზრახვა აქვთ გენზანს თავი დაანებონ.

**ბერლინი.** («ვოლფის სააგ.»). აქაურს გაზეთებში გამოვიდა ამბავი, ვითომც ნემეცის აფიცერს, რომელიც შორეულ აღმოსავლეთის ბრძოლის ველზე დანიშნულია, მიჰქონდეს ვრცელი წერილი გერმანიის იმპერატორისა კუროპატკინის სახელზე. «ნორდდეიტშე ცეიტუნგი» ამბობს, ეს დიდი ტყუილია, და აფრთხილებს საზოგადოებას მოერიდნენ ხმებს რომელსაც უცხოეთის გაზეთები ავრცელებენ, რომ ეჭვი შეატანინონ გერმანიაზე ნეიტრალიტეტის დაცვის შესახებ.

**სტამბოლი.** აბაშეთის იმპერატრიცა ტაიტუ ენკენისთვეში აპირებს დიდის ამალით სალოცავად წასვლას იერუსალიმს. ეს პირველია, რომ წევრი აბაშეთის სამეფო სახლისა მიდის წმინდა ადგილების სანახავად.

**არიოლი.** მცენის მაზრაში ათანასევის სკოლა დაიწვა ცეცხლში დაიწვნენ ორი მასწავლებელი და მასწავლებლის ნათესავი, 15 წლის ქალიშვილი.

**ბუდაპეშტი.** ავსტრიის დელეგაციამ მიიღო ბოსნიისა და ჰერცოგოვინის ბიუჯეტი და აგრეთვე საზღვაო ბიუჯეტი 75 მილიონ კრონისა. ყველა ორატორებმა აღნიშნეს ფლოტის გაძლიერების საჭიროება.

**ვორონეჟი.** 18 მაისს გაემართა სამკურნალო-სასურსათო რაზმი ვორონეჟის საგუბერნიო ერობისა შორეულ აღმოსავლეთს. პარაკლისს დაესწრო გუბერნატორი, საგუბერნიო ხმოსნები, გამგეობა და ერობის მოხელენი გამგეობის თავმჯდომარემ გამოთხოვებისას სთქვა: «დიდი მანძილი არ მოსპობს კავშირს ჩვენსა და თქვენ შორის. ვორონეჟი ერობა არ დაგტოვებთ არც თქვენ და არც თქვენს სახლობას ისე, რომ შემწეობა არ აღმოგიჩინოთ».

**ტანჟერი.** მოვიდა სამი სამხედრო გემი ამერიკისა.

**ჰამბურგი.** გემი «ახენი» წავიდა და წაიყვანა ჯარი სამხრეთ-აღმოსავლეთ აფრიკაში, საცა გერმანიის სამფლობელოა.

**გმუნდენი.** მოვიდა დანიის მეფე.

**ბუდაპეშტი.** როცა მსჯელობა იყო ავსტრიის დელეგაციაში საზღვაო ბიუჯეტისათვის. ფლოტის უფროსმა სთქვა, რომ გადადებულის ფულით მოვაწესრიგებთ ფლოტის საქმესაო. ეგ საჭიროა იმიტომ რომ ავსტრიის ჯავშნიანი გემები და ნაღმოსნები აღარ შეესაბამები ეხლანდელის ფლოტის მოთხოვნილებასაო. რაკი ახლა ფული გადაიდო, იმდენი ჯავშნიანი გემის მომზადება შეიძლება, რამდენის მომზადებისათვისაც სხვა დროს 11 წელიწადი დაგვჭირდებოდა. საჭიროა აგრეთვე დაცვა ნავთსადგურებისა. რადგან რუსეთ-იაპონიის ომმა და მტკიცა, რა საშიშია, თუ უეცრად იერიში მოიტანა გამბედავმა მტერმა ისეთს ნავთსადგურში, რომელიც საკმაოდ არ არის დაცული.

**ტეპლიცი.** ქალაქის მმართველობის წარმომადგენელებმა აუწყეს რუსეთის სამხედრო სამინისტროს, რომ 10 დაჭრილ რუსთა აფიცერს ნება აქვს მუქთად მიიღოს ხოლმე ვ ნები და ბინა ჰქონდეს მთელის სეზონის განმავლობაშიო.

**ლონდონი** («რეიტ. სააგ.») ტოკიოდან იუწყებიან, რომ ცინჯოუს ომში მოკლულ იქმნა შვილი გენერალის ნოგისაო.—ინგლის-საფრანგეთის მორიგების კანონ-პროექტი მეორედ წაიკითხეს. ბევრმა ორატორმა მიიღო მონაწილეობა კამათში. ყველამ მოიწონა კანონ-პროექტი.

**სოფია.** ადრიანოპოლის ვილაეტის ლტოლვილთა დელეგატებმა, რომელთაც მინდობილი ჰქონდათ წარედგინათ დიპლომატიის აგენტებისათვის იმისი მემორანდუმი, თუ როგორ უნდა განკარგებულ იქმნას ბედი ამ ვილაეტის მცხოვრებთა, შეასრულეს თვისი მოვალეობა. ოფიციალურს მოხსენებაში უარის ჰყოფენ, რომ ვითომ უსამართლოდ ექცევიან ლტოლვილთ უკან დაბრუნებისას; პირიქით, ოსმალეთის მთავრობა ყოველ-გვარ შეღავათს აძლევსო.—მეამბოხენი გამოჩნდნენ პიჩინს ახლოს, მაგრამ გაჰფანტეს. საფუძველი აქვთ იფიქრონ, რომ ეგ მეამბოხენი სერბიაში შეკრილან პირველად. სერბიის მთავრობა უარ-ჰყოფს ამ გარემოებას და ჰპირდება ოსმალეთს, რომ ამ ს იქიო სასტიკად ვუგდებ თვალყურს სამზღვრებსაო.

---

დროებით რედაქტორი **გრ. ყიფშიძე.**

გამომცემელი **ა. სარაჯიშვილი.**

---

## გამოსადეგნი ცნობანი:

**პეტერბურგის ბირჟა**

11 მაისი 1904 წ.

ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონში 10 გირვ. სტ. | 93,95 |
| ბერლინში 100 მარკაში | — |
| პარიჟში 100 ფრანკში | — |
| ლონდონში ჩეკები | 94,50 |
| ბერლინში „ | 46,30 |
| პარიჟში „ | 37,65 |
| ბირჟის დისკონტი | 6—7½% |
| 4% სახელმწიფო რენტა | 91 ნის. გაყ. |
| 4% სახ. სესხი 1902 წ. | — |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. სადგ. მამულო ბანკისა | 88 ნის. გაყ. |
| 5% პირ. შინაგ. მომგ. ბილ. 1864 წ. | 374 წვ. გაყ. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. | 294 წვ. გაყ. |
| 5% გირავნ. ფურც. სახელმ. სადგ.-მამ. ბანკისა. | 260½ ნის. გაყ. |
| 5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ. | — |
| 4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა. | — |
| 4½% ტფილ. სადგ. ს. მ. ბანკის გირავნ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა | — |
| 6% ქუთ. სად. მამ. ბანკის გირ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა. | — |

---


# განცხადებანი




ამერიკის

ავტომობილები

ბენზინით მოძრავი

ველოსიპედები

ბენზინის მატორებით.

**Акц. О-во ЭНФИЛЬД**

Москва, Рождественка № 9.

СПБ. Морская, № 30.

(10—6—10).

---

თფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლისაგან.

თანახმად **უმაღლესად** დამტკიცებულ 25 მაისს 1895 წელს სახელმწიფო საბჭოს აზრისა იმის შესახებ, რომ დაუბრუნდეს ტფილისის სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის დამფუძნებლად მყოფთ თავიანთი შეტანილი ფული ამა ბანკის დასაარსებლად და ფინანსთა მინისტრის მიერ 8 მაისს, 1900 წელს დამტკიცებულ წესთა მე-7 მუხლის ძალით, ამით ცხადდება საყოველთაოდ, რომ ის, ვის ხელშიაც გადავიდა შესაბამის წარწერით თ-დ ქაიხოსრო დავითის ძის ავალიშვილის მიერ ზემოხსენებულ ბანკის დასაარსებლად შეტანილ ფულის კვიტანცია ას-ორმოცდა-ათი მანეთისა (150), მოვალეა წარმოუდგინოს იგი ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლს ექვსის თვის განმავლობაში დღიდგან ამ განცხადების დაბეჭდვისა. თუ ასე არ მოიქცა, სამუდამოდ დაეკარგება უფლება იმ ფულის მიღებისა და იგი ფული დაუბრუნდება ზემოხსენებულ თ-დ ავალიშვილს.

(3—6—3).

---

გამოვიდა და ისყიდება ხიდდეკელის წიგნის მაღაზიაში და სხვა წიგნის მაღაზიებში ტფილისში

**НАРОДНАЯ МЕДИЦИНА**

въ Закавказскомъ краѣ ... ფასი 70 კაპ.

(2—141—2).

---



როიალები პიანინო



ფის-გარმონები, სკრიპკები, გიტარები ფლეიტები, კლარნეტები, ნოტები, სიმები და სხ.-და-სხ.



ყველა ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

პრეისკურანტები

მუქთად იგზავნება.

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო საგრავებისა.

**ბ. მ. მირიმანიანისა.**

**МУЗЫКАЛЬНОЕ ДЕПО**

**Б. М. МИРИМАНIАНЪ**

Тифлисъ, Дворцовая ул.

(25—6—24)

---

**ტფილისის გუბერნიის თავად აზნაურთა წინამძღოლისაგან**

—

თანახმად უმაღლესად დამტკიცებულ 25 მაისს 1895 წელს სახელმწიფო საბჭოს აზრისა ძალით იმის შესახებ, რომ დაუბრუნდეს ტფილისის სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის დამფუძნებლად მყოფთ თავიანთი შეტანილი ფული ამა ბანკის დასაარსებლად და ფინანსთა მინისტრის მიერ 8 მაისს, 1900 წელს დამტკიცებულ წესთა მე-7 მუხლის ძალით, ამით ცხადდება საყოველთაოდ, რომ ის, ვის ხელშიაც გადავიდა შესაბამის წარწერით თ-დ ნიკოლოზ შერმაზანის-ძის და თინათინ ივანეს ასულის აბხაზთა მიერ ზემოხსენებულ ბანკის დასაარსებლად შეტანილის ფულის კვიტანცია ოთხას ოთხმოცდა რვა მანეთისა და 75 კაპ. (488 მ. 75 კ), მოვალეა წარმოუდგინოს იგი ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლს ექვსის თვის განმავლობაში დღიდგან ამ განცხადების დაბეჭდვისა. თუ ასე არ მოიქცა, სამუდამოდ დაეკარგება უფლება იმ ფულის მიღებისა და იგი ფული დაუბრუნდებათ ზემოხსენებულ თ-დ აბხაზთა.

3—6—3.

---




**მოითხოვეთ ყველგან ნამდვილი**

**„ოდონტინი“ მ. ვ. ლებედევის“**

ეს წამალი სრულიად აქრობს რამდენიმე დღეში ძველს ბებერას და მეტ-ხორცსძირიან-ფესვიანად. მხოლოდ ეტიკეტი უნდა ჰქონდეს, მთავრობისაგან დამტკიცებული № 22473.

იყიდება ტფილისში — სააფთიაქო საქონლის კავკასიის სავაჭრო ამხანაგობასა და ის განყოფილებებში ბაქოსა და ბათუმში.